№2597 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 6^1 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53, №0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე, შემდეგი X და Y კოორდინატების ფარგლებში:

№	X	Y
1	449177	4581925
2	449477	4581925
3	449177	4581625
4	449470	4581670
5	449433	4581625
S=9.0 ჰა		
WGS – 1984.		

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**